გაზეთის ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. | — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, | 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, | 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, | — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, | 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, | 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, | — ,, |
| 5 | ,, | 5 ,, | 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, | 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, | 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, | 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, | 50 ,, |

# ივერია

№ 214 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 214

წლ. ურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1 ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს— 3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს— 3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.


14 სეკდემბერს ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა პარიჟში,

**სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი,**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძმები: **ლევან, პეტრე და იაკობ კონსტანტინეს ძენი ზუბალაშვილები** და დები— **იულია კონსტანტინეს ასული კნეინა თუმანიშვილისა, ანნა კონსტანტინეს ასული ბეჰირგანოვისა და მარიამ კონსტანტინეს ასული ზუბალაშვილი.** მიცვალებულის გვამს ტფილისში მოასვენებენ.

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (1—1)

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრიქონი, მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი, ანუ დიდი განცხადება, ცალკე მორიგებით.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

| | | |
|---|---|---|
| პირველ სეკდემბრიდგან წლის დამლევამდე ჰღირს . . . | 4 „ | 75 კაპ. |

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს:

| | | |
|---|---|---|
| პირველ სეკდემბრიდგან წლის დამლევამდე ქალაქში . . . . | 2 „ | 25 „ |
| „ „ „ „ ქალაქ გარედ . . | 2 „ | 50 |

გაზ. ,,ივერიის'' **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდგან 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის“ რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა).

**ქუთაისში:**—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათომში:**—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საგურამოში:**—პეტრე მაჭავარიანთან.

**ზოვრაანში:**—პართენ ნასიძესთან.

**გორში:**—ანტონ კასრაძესთან.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ. Редакція „Иверія“.

## ახალი საყმაწვილო ჟურნალი

## „ნაკადული“

**სურათებით.**

გამოიცემა მცირეწლოვან და მოზრდილ ყრმათათვის თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

### პროგრამმა:

1, მოთხრობა და ლექსები. 2, ისტორიული და სამეცნიერო პოპულიარული წერილები, ბიოგრაფია, მოგზაურობა. 3, აღმოჩენა-მოგონებათა ქრონიკა. 5, **ნარევი:** მოსწრებული სიტყვა,-პასუხი და ანეკდოტები, 2, სათამაშონი, გასართობი, რებუსები, ამოცანები, შარადა, გამოცანები, საყმაწვილო კარიკატურები და სხვ. 6, პედაგოგიური წერილები, 7, მკითხველთა წერილები, 8, ფოსტის ყუთი და 9, განცხადებანი.

**ჟურნალის ფასი:** ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში **5** მან. ცალკ-ცალკე **3** მან.

გამომცემელი ჟურნალისა კნ. ნინო ელიზბ. ქობულოვისა.

რედაქტორები { კნ. ელის. დ. ერისთავისა. ნინო ნიკ. ზურაბიშვილისა.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზედ № 5, სახლი პოპოვისა, სადგური მარიმ ივანეს ასულის დემურიასი.

**ხელის მოწერა მიიღება:** რედაქციაში, წერა-კითხვის გამავრც. საზოგად. კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

**ფოსტის ადრესი:** Тифлисъ. Редакція „журн. НАКАДУЛИ“.

გამოვიდა ახალი

## კატალოგი

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიის წიგნებისა. მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ უფასოდ წიგნის მაღაზიებში.

ნაფიცი ვექილი

## გვაზავა

გადავიდა ლორის მელიქოვის ქ. მესხიშვილის სახლში, № 18.

5—1

გამოვიდა და ისყიდება ყველგან

## ნაწერები ს. მესხისა

ტ. 1. II+533 გვ.

ავტორის სურათით და ავტოგრაფით, გამოცემა ს. ფარცხალავასი. ფასი ერთი მ. უმთავრესი საწყობი «წ. კ. გამავ. საზოგადოებაში».

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

## ლ. დ. დონსკოისა

**დასაწყისი სეზონისა.**

პარასკევს, 17 სეკდემბერს

I

გლინკას ასის წლის დაბადების დღის შესრულების გამო წარმოდგენის წინად არტისტები, ხორო და ორკესტრი შეასრულებს გლინკას «დიდებას».

II

## ცხოვრება მეფისათვის

ოპერა 4 მოქმედ. მუსიკა გლინკასი.

**მონაწილეობენ:** ქ.ქ. ანტონოვისა, შიხუტსკაია, ბ.ბ. დონსკოი, მალეცკი და სხვ.

ბალეტს განაგებს **ჯოვანი**, პრიმა-ბალერინა **ლენჩევსკაია.**

უფროსი რეჟისორი ს. ფ. ბეცევიჩი კაპელმეისტერი ქიხენვალდი.

**ფასები ჩვეულებრივია.**

დასაწყისი 8 საათზედ.

შაბათს, 18 სეკდემბერს

წარმოდგენ. იქმნება

## ფაუსტი

მუსიკა გუნოსი.

კვირას, 19 სეკდემბერს

წარმოდგენ. იქმნება

## აიდა

მუსიკა ვერდისა.

მზადდება პირველად ტფილისში «ნერონი», მუსიკა ა. რუბინშტეინისა.

გამგე ი. კელლერი.

**გამოვიდა და ისყიდება**

ახალი წიგნი

## უცხო სიტყვათა ლექსიკონი

შედგენილი იოსებ იმედაშვილის-მიერ.

წიგნი შეიცავს 1130 გვერდს, დაბეჭდილია სუფთად, კარგს ქაღალდზედ და ჰღირს ერთ მანეთად.

ადრესი: книжная торговля Іос. Зах. Имедашвили, Георгіевская ул., домъ Арджеванидзе, противъ Александровскаго сада.

**ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ კვირას, 19 სეკდემბერს, დილის 11 საათზედ, ქართულ თეატრის ფოიეში დანიშნულია

საზოგადოების წევრთა

## წლიური კრება

განსახილველი საგნები:

1) განხილვა და დამტკიცება წარსულის წლის ანგარიშისა.

2) სარევიზიო კომისიის მოხსენება.

3) არჩევანი გამგეობის შვიდის წევრისა და სამის კანდიდატისა.

4) არჩევანი სარევიზიო კომისიის წევრთა.

5) არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა.

მსურველთ შეუძლიანთ დაბეჭდილი ანგარიშები მიიღონ ქართ. დრამატ. საზოგადოების კანტორაში, ადმინისტრატორის დავ. ნახუცრიშვილისაგან. (3—2).

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა წინად Набережная, სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი** № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ი. ბალარჯიშვილი**—ბავშვებისა, 9½—10½ ს.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათ.

**ლ. ი. კამოევი**—საშარდესი, ვენერიული და ხირურგია. 11—12 საათ. ყოველ დღე.

**მ. ი. კიმონტი**—ხირურგია—კვირაობ., სამშაბათ., ხუთშაბათ. და შაბათ. 11½—12½ საათ.

**მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია ყოველ დღე 12—1 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—სიფილისისა და კანისა 12½—1½ საათ.

**ბრ. ვ. სოგოლევსკი**—ქირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით. 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

**ლ. მ. მონინი.** ქალისა, საბებ. და ბავშვ. და შემოწმება ძიძებისა ორშაბათ., ოთხშაბ. და პარასკევობით 2—1 საათ.

**ვ. ს. მუსხელაშვილი**—თვალისა ყოველ დღე, გარდა სამშაბ. და კვირ. 2—3 სათ.

**საღამოთი:**

**ბრ. ვ. სოგოლევსკი**—ქირურგია და ორთოპედია 5—6 სათ.

**ტ. ს. დავიდოვი**—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათ.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაქტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3—5 მანეთამდე დღე-ღამეში. სამკურნალო გაფართოვებულია ოცის კრაოტით.

ტელეფონი № 274

(წ.)

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. აბეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**ვ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**ზ. ს. ელგი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟსა, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს —67 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მიღოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** მიხეილის პროსპექტი, № 145.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—დოროსმელნიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

კუროკის წინ-წაწევა.—მუკდენთან თუ თელინთან.—რამ შეუშალა ხელი კუროკის ლიაოიანთან.— როგორი ჯარის კაცია საჭირო.—დურბინდი.—დღევანდელი არტილერია.—წვრილი ცნობანი.

გენერალმა კუროკიმ მთელის ჯარით უკვე გაილაშქრა ჩრდილოეთისაკენ ჩვენის ჯარისათვის გზის გადასაჭრელად. კუროკის ჰყავს ამ ჟამად, თუ დავუჯერეთ უცხოელ სამხედრო კორესპონდენტებს, 9 დივიზია ანუ 135,000 კაცი. ჯერ არის მხოლოდ გამორკვეული, მუკდენთან აპირობს იაპონელთა გენერალი ჩვენის უმთავრესის ჯარის გარშემოვლას, თუ მოწინავე რაზმებს ჩააბარებს ამ საქმეს და თვით-კი პირდაპირ მუკდენზედ წავა. ორში ერთი უნდა ვიფიქროთ: ან აქაც ისევ მოჰხდება, რაც ლიაოიანთან, ესე იგი ახლოვე ეცდებიან იაპონელნი გზის გადაჭრას, ან არა და მარშალი ოიამა უფრო შორიდამ მოინდომებს გარშემოვლას, თელინისაკენ. თუ ასე გადასწყვიტა ოიამამ, მაშინ მთლად კუროკის ლაშქარი გაჰქანდება ამ ძნელის საქმის შესასრულებლად. ეს გარემოება საშიშია ჩვენთვის; თუმცა ამ შიშს ზოგიერთნი უარ ყოფდნენ აქამდე, მაგრამ ახლა-კი, როგორც მაგ. გაზ. „ნ. დ.“, აღარ უარ ჰყოფენ. (რ. ვ.).

—

„ლოკალანცაიგერ“-ის სამხედრო მიმომხილველი ამბობს, უნდა ვიფიქროთ, რომ გენერალი კუროპატკინი არ იკისრებს მუკდენს ახლო ომს, რადგან მისი საგერი სანგრები ადვილი შემოსავლელია აქ გარშემო. პირ-იქით, გარშემოვლაც რუსთა პოზიციებისა თელინთან ძნელი იქნება, რადგან მდ. ლიაოხე დაიფარავს რუსთა მარჯვენა ფრთას, ხოლო ციცაბო კლდე—მარცხენას. (რ. ვ.).

—

«ბერლ. ტეგებლატი» ამობს, რომ კუროკიმ ყოველი ღონისძიება იხმარა, რათა გარს შემოევლო ლიაოიანთან და გზა გადაეჭრა რუსებისათვის. ჯარიც კარგი ჰყავდა, გმირები ილუსი და მოთიენის

გადასავალისა, თვითონაც იშვიათის ენერგიისა და შეურყეველის სიმტკიცის კაცია, მაგრამ ლიაოიანის ნახევარი გამარჯვება მაინც სრულს გამარჯვებად ვერ გადააქცია და ვერ მოიმწყვდია რუსნი, ვერ გადუჭრა რუსთა ჯარს ერთად-ერთი გზა უკან დახევასა. ამის მიზეზი უფრო ის იყო, რომ ჯარი ნაკლებად ჰყვანდა ამ გენერალს. სხვა მიზეზი არა იყო-რა (რ. ვ.).

—

«ფრანქფურტერ ცაიტუნგი»-ს სამხედრო თანამშრომელი ამბობს, დროა უარვყოთ ის დაძველებული აზრი, რომ ვითომ ომში ყოველივე დისციპლინა და განუკითხველი მორჩილებაა: ახლა ყოველივე დამყარებულია სამხედრო საქმის მოწყობილობასა და გაგებულ ჯარისკაცზედ. ჯარის კაცს უნდა ჰქონდეს უნარი და შნო სწრაფად მიხვდეს ყოველსავე გარემოებას, მოისაზროს, რაც უმთავრესია. ამისთანა ჯარის-კაცის ყოლა ვისაც უნდა, განვითარება და შეგნება უნდა გაავრცელოს ხალხის უმრავლესობაში, უნდა ჩაუნერგოს ხალხს პატივისცემა ადამიანის პიროვნებისადმი. იმისთანა ჯარის-კაცს, როგორიც დღევანდელს ომშია საჭირო, ჯოხი და მათრახი კი არა ჰქმნის, არამედ მეცნიერება და კაცთ-მოყვარება. ხოლო ოფიცერმა ისე უნდა უყუროს თავის თავს, როგორც ჯარის-კაცის უფროსს მეგობარს და ჰმოქმედებდეს ჯარის კაცზედ მხოლოდ გონებრივისა და ზნეობრივის ალმატებითა. (რ. ვ.).

—

გაზ. «ნივა»-ში სწერს ვინმე ტაბურინი, რომ ჯარს ბევრი რამ აკლდა, სხვათა შორის ხელსახოცებიო. ხელსახოცებით თავს იფარავდნენ სიცხეში აფიცრებიცა და ჯარის-კაცნიცა. ხელსახოცები რომ ძალიან ნაკლებად არა ჰქონოდათ ჯარში, ბევრს აღარ ჩაუვარდებოდა თავში სიცხე და სიკვდილს გადარჩებოდაო. ახლა ხელსახოცების დრო აღარ არის და, ვიდრე შემომწირველნი ხელსახოცებს მოაწოდებდნენ, სხვა რამ იქნება უფრო საჭირო, მაგალითად, თბილი ტანისამოსი საზამთროდ. მაგრამ არის კიდევ ერთი მეტად საჭირო ნივთი, ურომლისობაც ძალიან აფერხებდა საქმეს. ეს ნივთია დურბინდი. მეზარბაზნე უდურბინდოთ ომში იგივეა რაც ბრმა, თვალებ-დამდგარი, უსინათლო, იმიტომ რომ 7 ვერსზედ სროლა შეუძლებელია, თუ თვალი შეიარაღებული არ არის 8—9 ჯერ საგნის გამადიდებელის იარაღითა. დაშიცაოს გაცხარებულს ბრძოლაში, როცა ზარბაზნების ახლო ვიყავ, ოფიცრები წამ-და-უწუმ იმეორებდნენ განწირულებით: „დურბინდი არა გვაქვს-.. რა ცეცხლია, რომ დურბინდი არა გვაქვსო"!

—

მაშინ როცა ჩვენი ზარბაზნები, მაგალითად ვაფანგოუსთან, ისროდნენ, როგორც მოჰხვდებოდათ, იაპონელები სულს არ გვათქმევინებდნენ, ისე გვაყრიდნენ ყუმბარებს. ჩვენც უნდა მოვაწყოთ ეს საქმე. რაც უფრო მალე იქნება, მით უკეთესი. ღოროტოტოების კვრით, სასტვენებითა და თუნდ ორდინარცებითაც ახლა აღარ იქმნება ზარბაზნების სროლა. ახლა საჭიროა სიგნალიზაცია, ტელეგრაფისა და ტელეფონის ხმარება. უპირველეს ყოვლისა დიდმა უმფროსებმა უნდა გაიცნონ საფუძვლიანად, არა თუ მოწყობა, არამედ ხმარება ომში არტილერიისა. შეუძლებელია განაგო ის, რაც არ იცი! დღევანდელს ომში-კი ცხადად აღმოჩნდა უცოდნელობა მსწრაფ-მსროლელ ზარბაზნების დამახასიათებელ თვისებისა, არამც თუ ქვეითის ჯარის უფროსთა, არამედ არტილერიის უფროსთაცა. მხედრობის ერთმა უფროსმა, როცა ბატარეის კომანდირმა მოახსენა, შესაძლოა სროლა ზარბაზნით ისე, რომ მტერი არც-კი უნდა სჩანდეს, მხოლოდ ამისათვის დამიზნება ბატარეის უკან ერთის წერტილის ამორჩევითაო, იმან გაიკვირვა, როგორ შეიძლება წინ სროლა უკან დამიზნებითაო. მეორე უფროსმა ამავე საგნის შესახება სთქვა: «დავრწმუნდი, რომ ახლანდელი ზარბაზანი, რომელსაც დასამიზნებელი უკან აქვს მომართული, ვერაფერი შვილია და გამოუსადეგარიაო. იქვე იყო არტილერიის ბრიგადის უფროსი და იმანაც ვერ შესძლო დაერწმუნებინა ზემოხსენებულნი უფროსნი, რომ სასტიკად სცდებოდნენ. («რუსკ. ინვ.»).

—

„ლოკლ-ანცაიგერ»-ს სწერენ დეპეშით, რომ მთავარი ბინა კუროკისა 35 კილომეტრის მანძილზეა მუკდენიდან, ხოლო უკანასკნელ მარშის შემდეგ, რომელიც ლამე მოახერხა, კიდევ უფრო ახლო მიიწიაო. მდ. ხუნხე ადიდებული არ არის ამ ჟამადაო. «(რ. ვ.»).

—

მარშალმა ოიამამ სთქვა ლიაოიანის ბრძოლის შემდეგ, რამდენი ჯარიც უნდა დააყენოს რუსეთმა თოფ-ქვეშ, მაინც იაპონია უფრო მეტს ჯარს გამოიყვანსო. მაინც საშიშია ის სიადვილე, რა სიადვილითაც შეავსო იაპონიამ თავისი ჯარის ზარალი და დანაკლისი. იაპონიას სათადარიგო ჯარი 800,000 კაცი ჰყავს, ხოლო მუდმივი ჯარი 200,000: სულ მილიონი გაწურთვნილი და ნასწავლი ჯარის-კაცი შეუძლიან გამოიყვანოს იაპონიამ. («ს.-პ. ვედ.»).

# ტ ფ ი ლ ი ს ი

—

† მეტად სამწუხარო ამბავი უნდა ვაუწყოთ მკითხველებს: პარიჟში 14 სექტემბერს გარდაცვლილა ჩვენში ცნობილი ქველმოქმედი და დიდის შეძლების პატრონი სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი. განსვენებული პარიჟს გაემგზავრა აქედგან ივნისის 1-ლ რიცხვებში და მაშინვე ავად იყო—კუჭს იტკივებდა. სულ მხოლოდ რამდენიმე თვეა მას შემდეგ, რაც განსვენებულმა 10,000 მანათი შესწირა წერა-კითხვის საზოგადოებას; ტფილისში სახალხო სახლის ასაგებად განსვენებულმა და მისმა ძმებმა შესწირეს 100,000 მანათი. სათავად-აზნაურო სკოლის შენობის ასაგებად, რომელიც ვერაზედ შენდება, განსვენებულმა 30,000 მანათი შესწირა; თავის ხარჯით ააგო ბათუმში კათოლიკეთა ეკლესია, რომელიც 150,000 მანეთამდე დაუჯდა და მის საკურთხევლად თავისისავე ხარჯით რუსეთიდგან მოიწვია კათოლიკეთა ეპისკოპოსი ბარონ როოპი, შეაკეთა ტფილისისა და ბაქოს კათოლიკეთა ეკლესიები თავის ხარჯით და სხვანი. წყეულმა წრევანდელმა წელიწადმა სწორედ ჩვენზედ მოიცალა! რამდენი სიცოცხლით სავსე საზოგადო მოღვაწე გამოგვაცალა ხელიდგან სულ ამ ხუთის თვის განმავლობაში!... განსვენებული დიდი მოყვარული იყო სამშობლო ლიტერატურისა და ყველას უხვად ეხმარებოდა ქონებრივად წიგნების გამოსაცემლად.

*** კვირას, 19 სექტემბერს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების წლიურ კრების დაწყების წინ, ქართულ თეატრის ფოიეში, გარდაიხდიან პანაშვიდს ქართულ თეატრის დამაარსებელის თავ. გიორგი ერისთავის სულის მოსახსენებლად გარდაცვალებიდგან 40 წლის შესრულების გამო.

*** რადგანაც ქართულ თეატრში წარმოდგენების გამართვის ნებას არ აძლევენ, ქართულ წარმოდგენების გამმართველ ამხანაგობას ამ ჟამად მოლაპარაკება აქვს სახაზინო თეატრის დირექციასთან იმის შესახებ, რომ კვირაში ერთის დღით —ოთხშაბათობით—დაუთმონ სახაზინო თეატრი ქართულ წარმოდგენების გასამართავად.

*** მოგვივიდა ქართულ დრამატიულ საზოგადოების 1903/4 წლის მოქმედების ანგარიში. როგორც ამ ანგარიშიდგან სჩანს, შარშანდელ სეზონში საზოგადოებას შემოსავალი ჰქონია ქუთაისსა და ტფილისში 42,616 მან. 1 კაპ., გასავალი 46,621 მან. 55 კაპ., ასე რომ დეფიციტი 4,015 მანეთია. დეფიციტი დაფარულა შემდეგის წყაროებიდგან: 1903 წლის პირველ თიბათვისათვის ნაღდად ყოფილა საზოგადოების კასაში 1,000 მან., საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს ბ-ნს ნიკ. გიორ. ქართველიშვილს შეუწირავს 1,500 მან., კასირის გირაო ყოფილა—800 მან. ბ-ნ ნიკ. გ. ქართველიშვილისაგანვე საზოგადოების გამგეობას სესხად აუღია 651 მ. 54 კაპ., ამ გვარად ბალანსი, როგორც შემოსავლით, ისე გასავლითაც გასწორებულია. აი პასსივი და აქტივი დრამატიულ საზოგადოებისა: ვალები (ძველი და ახალი) სხვა და სხვა ანგარიშებით—2079 მან. 40 კ. ს. ნადირაძის ფულის სარგებელი 131 მ. 25 კ. არტისტთა ფონდისა 1,250 მ. 60 კ. 2 მომგებიანი ბილეთი დაგირავებულია 700 მ. წიგნების გამოსაცემი თანხა 1,000 მ. ბ. ავალიშვილის ძეგლისა 85 მ. ა. ცაგარელის ფონდისა 184 მ. 55 კ. კასირების გირაო 950 მ. ს. ნადირაძის გირაო 500 მ. ნ. გ. ქართველიშვილისა 651 მ. 54 კ. სულ 7,532 მ. 34 კ. ქონება: ბილეთები მომგებიანი 700 მ. ვექსილები თ.-დ. ა. ა. წერეთლისა 2,500 მ. შექსპირის პიესები 120 მ. «ვაი ჭკუისაგან» (880 ცალი) 300 მან, კატალოგი პიესებისა (300 ცალი) 45 მ. სულ 3,665 მან. სამარხი ადგილი 6 ნაჭერი.

როგორც სარევიზიო კომისიის მოხსენებიდგანა სჩანს, წელს დრამ. საზოგადოებას დეფიციტი ჰქონია სულ 7,532 მან., 94 კაპ. (და არა 200 მან., როგორც ამას წინად შეცდომითა გვქონდა მოხსენებული) და წინა წლებისაც,—5,401 მან. 40 კაპ. სარევიზიო კომისია დასძენს, რომ ეს ზარალი უმთავრესად დიდის დასის მოწვევის ბრალიაო, თურმე დიდძალი ფული მოუნდა არტისტების ჯამაგირსა და საგზაო ხარჯს—სულ 4,423 მან. 6 კაპ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოებას, როგორც ამ ანგარიშიდგანა სჩანს, გასულ სეზონში გაუმართავს წარმოდგენები: ტფილისში (ორგან-ავლაბარსა და ქართულს თეატრში) 58, ქუთაისში—24, ბათუმში—8 და ფოთში 5. მარტო წარმოდგენებიდგან ტფ. შემოსულა 16,867 მან. 16 კაპ., ქუთაისში—9,627 მან. 86 კაპ., სულ ქუთაისსა და ტფილისში 26,495 მან. 2 კაპ.

*** ამ დღეებში ცნობილ ქველ-მოქმედს ქ-ნ ეკატერინე მ. ნადიროვისას ქუჩაში შეჰხვდა ტფილისის ერთ-ერთ დედათა გიმნაზიის მოწაფე ქალი მ., რომელიც გიმნაზიიდგან დაეთხოვნათ სწავლის ფულის შეუტანლობის გამო და რომელსაც თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე. ქ-ნმა ნადიროვისამ გამოჰკითხა ქალს ყოველივე, მივიდა გიმნაზიაში და შეიტანა მის შესატანი ხვედრი ფული და მოწაფე ქალმაც განაგრძო სწავლა. კარგი იქნება ქ-ნ ეკ. ნადიროვისას გამოუჩნდებოდნენ მიმბაძველნი, რადგანაც ასეთი მაგალითები ერთი და ორი კი არა, ასობითაა.

*** 13 სექტემბერს კრება ჰქონდა ქალაქის საბჭოს, საზაფხულო ვაკაციის შემდეგ, რომელზედაც, სხვათა შორის, დადგენილ იქმნა, დაევალოს ბელგიის ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოებას, გამოსცვალოს ნავთლუღის ლიანდაგის რელსები და ნება მიეცეს არ მოჰკირწყლოს რელსებს შუა მდებარე ვიწრო გზა; ავლაბრის გზის ლიანდაგი გაგრძელდეს სიფილისით ავადმყოფთა საავადმყოფომდე; გაიყვანოს რკინის გზამდე ახალი ლიანდაგი, თუმცა ეს ხელშეკრულობაში არ არის მოხსენებული, 1906 წლის აგვისტომდე ელექტრონის ტრამვაი იქმნას ამუშავებული და სხვა.

*** დღეს, 17 სექტემბერს, სახაზინო თეატრში იწყება სეზონი.

*** რედაქციამ მიიღო „უცხო სიტყვათა ლექსიკონი", შედგენილი და გამოცემული იოსებ იმედაშვილის მიერ. წიგნი შეიცავს 1,130 გვერდს და ჰღირს ერთ მანათად (კალენკორის მშვენიერის ყდით 1 მ. 50 კ.). ქართულ ენაზედ ამნაირი ლექსიკონი პირველი ცდაა.

# საქართველოს ამბები

—

14 სექტემბერს სოფ. კავთისხევში (გორის მაზრა) ცეცხლი წაჰკიდებია სანთლის ნამწვისაგან ადგილობრივ მცხოვრების ელიზბარ ჯაჯანაშვილის სახლს. ცეცხლი პირველად კამოდს მოჰკიდებია, რომელშიაც ფარჩეულობა და საცვლები ყოფილა და სულ დამწვარა. ბოლოს ცეცხლი ჩაუქვრიათ. ზარალი 150 მანათამდეა.

◆ ამ დღეებში სოფ. ახალქალაქის (გორის მაზრა) მიდამოებში დიდი სეტყვა მოსულა, რასაც ვენახები ძლიერ დაუზიანებია სოფ. ხოვლედგან სოფ. ახალქალაქამდე.

◆ როგორც „ნოვ. ობოზრ." ს ატყობინებენ, ბორჩალოს მაზრის ეკატერინენფელდის ახლოშენში 7 სექტემბერს ავაზაკები თავს დასხმიან ვაჭრის ბარონ-ფონ-კუჩენბახის შვილს იმ აზრით, რომ გაეძარცვათ. ატეხილა ორსავე მხრიდგან სროლა, რომლის შემდეგაც ავაზაკები მახლობელს ტყეში შეცვივნულან და დამალულან. ეს ამბავი დაუყოვნებლივ ეცნობა ადგილობრივს პოლიციას.

—

# ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

—

## მომავალი ქართული ფილარმონიული საზოგადოება და მისი საგანი.

ქართულ გაზეთებში რამდენჯერმე გაკვრით იყო მოხსენებული, რომ ტფილისში არსდება ქართული სამუსიკო საზოგადოებაო. ეს ამბავი ისე უმნიშვნელოდ შთანთქა ცხოვრების დაუდგრომელმა ზრუნვამ, თითქო არაფერიო, თითქო პატარა აბი გადუყლაპავს კაცსაო. განა ბევრმა იცის, რომ ამ ადვილად გადაყლაპულ აბს განკურნება მოსდევს?! ამ მომავალმა საზოგადოებამ პატრონობა უნდა გაუწიოს იმ ამხანაგს ჩვენის გლეხ-კაცისას, რომელიც დღემდე დამატკბობელია მის დაუსრულებელ ტანჯვა-ვაებით აღსავსე სიცოცხლისა. განა პატრონობა არ ესაჭიროება სიმღერას მთის მწვერვალზედ ჩომბახ დაყუდებულ მეცხვარისას, რომელიც მწარედ აკვნესებს თავის სალამურს, სიმღერას გუთნის-დედისას, რომელიც ნელის ნაბიჯით მიმყოლი გუთნის ნაფთევს ნაფთევზედ სთვლის, სიმღერას მეთევზისას, რომელიც აბობოქრებულ ზღვის პირას გაისმის, სიმღერას გამარჯვებულ შინ მომავალ ყანის მომკლისას, რომელსაც დაჰზერს ნიავი შურით და მტრულად, სიმღერას, რომლითაც მომავალ ქართველის დედას აცილებენ გვირგვინამდის, სიმღერას, რომლის ჰანგიც დედის ტკბილ ძუძუსთან ერთად ყურს ჩაეწვეთება მომავალ ქართველს მამულის სიყვარული და იმ სიმღერას, რომლის ჰანგებითაც ქართველს მიაცილებენ საუკუნოდ საცხოვრებლის კარამდის, სადაც საუკუნო განსასვენებელი მოელის?

საგანი მომავალ ქართულ სამუსიკო საზოგადოებისა დიდმნიშვნელოვანია და ჰღირს იმათ, რომ ჩვენი ენა და გონება მის საქებრად მუსიკობდეს.

საერთოდ საგანი ამ ახლად დასაარსებელ საზოგადოებისა—მუსიკა—დიდი შემოქმედი და მადლიანი რამ დარგია კაცობრიობისათვის. როგორც ერთი ფილოსოფოსი ამბობს, იგი ზნეობრივი კანონია; იგი ამხნევებს და ასულდგმულებს მთელს ქვეყანას, ფრთებს ასხავს ერის სულიერ ცხოვრებას, ხელს უწყობს ოცნების ზეალმაფრენას. იგი დამამშვენებელია უფერულ ცხოვრებისა; აცხოველებს და ახარებს ყოველ არსებას. მუსიკა ქვა-კუთხედია ყოველისავე ქვეყნად დამყარებულის წესისა, გზის მაჩვენებელია სიკეთისა, სიმართლისა და სიმშვენიერისადმი; ძალა მუსიკისა უხილავია, მაგრამ შიგ გამოიხატება ყოველივე უზენაესი სიმშვენიერე; ვით ზღვის მოციმციმე ზედაპირი, აგრეთვე მუსიკის მელოდია, რითმიულად გამეორებული, ჩვენს ყურადღებას იპყრობს და ოცნების ფრთით შესხმული დაჰქრის შორს, შორს ლაჟვარდ ცის კიდეთა და ველთა შორის; მაშინ, როდესაც ზღვის პირის ციმციმი და მისი ღელვა ფიზიკურ წესთა ძალას ემონება და შესაზარ გრძნობასაც ჰბადავს ჩვენს არსებაში, მუსიკა, პირ-იქით, თავის მწყობრ და დაუსრულებელ რითმის მოძრაობით გამოგვიხატავს საოცნებო სამეფოს, სადაც ანგელოზთ გუნდთა გალობა გაისმის, სადაც დავითის ქნარი ჰულერს დაუსრულებელს ქებათა ქების ჰიმნს ძმობისა და კაცთა შორის სათნოებისას; მუსიკა ჩვენგონებას ანიჭებს შეგნებას იმ საუკუნო სიმშვენიერისას, რომელიც მომადლებულია ზეცით. იგი თვით ცის კიდეთა სფეროდამ გამონაკვეთი ჰანგია, ღვთისგან შექმნილ სულიერთა და უსულოთა ხმათა აღმოკვნესაა, ჩამოძახილი ხმაა ზეცურ სამეფოთა მცხოვრებლებისა, ანგელოზთა ხმაა—წმიდათა გუნდის ქებათა ქების ჰიმნია.

კერძოდ ჩვენი ხალხური მუსიკა-სიმღერა გასაღებია ქართველთა ერის გულის თქმისა; ქართული ხალხური მუსიკა ჩვენ ხალხის ისტორიულ ცხოვრებაში ერთი უმთავრესი დარგი ყოფილა მის ზნეობრივ განვითარებისათვის; ამიტომაც იყო, რომ დედის ტკბილ ნანასთან ერთად პატარა ქართველი ითვისებდა სამშობლოსადმი სიყვარულს და დედის გულიდგან აღმონაკვნეს «ნანინა»-ს ჰანგით ნელ-ნელა იფაქიზებდა საკეთილოდ ამღერებულს გულის თქმას.

ეხლა კი, როცა ჟამთა-ვითარებამ ცხოვრება გაგვითახსირა, როცა უკუღმართს სიარულს უფსკრულამდის მიუყვანივართ, ეხლაც კი მისი გაგონება ყველა ჩვენგანს სიამოვნების ჟრუანტელს ჰგვრის და ეს ზეციური ხმები, ჩვენდა სანუგეშოდ მოვლენილი, ოცნების მსუბუქ ფრთით იტაცებს ჩვენს არსებას, ზეალმაფრენს ფრთას ასხამს და ჰქრის შორს, შორს მთასა და ველს, იმ კურთხეულ ქვეყნის მდელოთა შორის, სადაც შემოქმედმა ესე უხვად დაიბერტყა თავისი წყალობის კალთა; ჩვენი სამშობლოს განუსაზღვრელი მდიდარი ბუნება, მისი მრავალ-ფერადობა, ყოველთვის ხელს უწყობდა ჰარმონიას მრავალ-გვარ ფერადებით; თვით ბუნება ყოველ არეს და ყოველს ჟამს ჰკრთოდა და თინათინებდა საზოგადოდ ხელოვნებაში, კერძოდ მუსიკაშიც; მოავლეთ თვალი საქართველოსა,—ყოველივე მის ბუნებაში ჰარმონიაა; მთა და ბარი, თუ ზღვის ზვირთთა გმინვა, აქ ყველგან ბუნების ხელმძღვანელია კანონი ჰარმონიისა, იმ ჰარმონიისა, რომლის კანონებზედაც დიდებულად განისვენებს თვით მუსიკის ხელოვნებაც.

ამ შემკულ ნიადაგზედ აღმოცენებული ქართული ხალხური მუსიკა-სიმღერა, მოგვაგონებს-რა ჩვენ უმწიკვლო უმანკოებას, აკეთილ-შობილებს ჩვენს გრძნობას, უღვიძებს კაცს ეროვნულ თავ-მოწონებას, იგი არის მდადე ჭეშმარიტის მამულის-შვილობისა; ხალხური მუსიკა დროშაა ჩვენის ეროვნებისა, იგი თვით ერის თვით ცნობიერების სარკეა; მისი ჰარმონიის შემოქმედების ძალა, არამც თუ გვიახლებს დაძაბუნებულ გულის თქმათ, არამედ გვეძახის და გვიწვევს კიდეც საგმიროდ, ჩვენ დამჩაგვრელ და დამამხობლის შესამუსრავად; იგი არამც თუ გულში აღძრავს ეროვნულ თვით-ცნობიერების გრძნობას, არამედ ხელს გვიწვდის ბედისგან დაჩაგრულთ და დაკნინებულთ თანამოძმე ქართველთა შეერთება-შეკავშირებად. ხალხის მუსიკა-მელოდია, როგორც ძეგლი ჩვენის ერის ცხოვრებისა, ჩვენი დიდება და სიამაყეა და ვიდრე მისი ციური მომხიბლავი ხმათა ჟღერა არ შესწყდება სამუდამოდ, მანამდე საქართველოც იხსენიების, ვით ჭეშმარიტება; სახალხო მუსიკა ჩვენის ცხოვრების ბურჯის გულშია აღზრდილი, იქ გამობარა და მასთან ერთ ნაწოვნ ძუძუთი აღზრდილა; ეხლა ეს კი თავის მოძმის მფარველი ანგელოზია, მოსიყვარულე და დამატკბობელი ჩვენის ხალხოსნობისა.

ამ სახით, ზნეობრივი ხასიათი ქართველთა მუსიკა-სიმღერისა შეეფერ-შეეწონება ერის სულიერ ცხოვრებას; მათი მნიშვნელობა სამუდამჟამოა ქართველთა ერისთავის; ეს ჰანგნი ისეთი ნაშთია ძველ ქართველთა საერო ხელოვნებისა, რომელიც ადვილად გასაგებია ყველა საუკუნეთა და ყველა ერთათვის, რომლის არც შეწყნარება არ შეუძლიან არც ერთს თაობას და რომელსაც ვერ შეჰკედავს დასათრგუნავად ვერც დრო და ჟამი და ვერც ვისიმე ძალმომრეობა; ამ ჰანგებში გამოიხატა ყოველივე ის საისტორიო გარემოება, რომელიც გადიტანა ჩვენმა ტანჯულმა და წამებულმა ერმა; მასში გამოიხატა ყოველგვარი მიმართულება საპოლიტიკო, სახელოვნებო და საზოგადო ცხოვრებისა; მათზედ თანაბრად მოქმედობდა გამოუკლებლივ ყოველივე მიზეზი საისტორიო გარემოებათა, საზოგადო წყობილებისა ისევე, როგორც მოქმედობდა ენასა, სარწმუნოებასა და ზნე-ჩვეულებაზედ; ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომლის სიმართლეც, უეჭველია, ყოველ შეგნებულს კაცს თითონვე ექნება შემოწმებული.

ქართულმა საერო მუსიკა-სიმღერამ თავისებურ თვისებათა წყალობით სხვა საისტორიო და საკულტურო ჩვენის ერის ზნე-ჩვეულებასთან ერთად გზა უნდა გაიკვლიოს ქვეყნიერებაში და აუწყოს ის ძალა, რომელიც თან ახლდა და ახლავს ქართველ ხალხს და დიდს უბედურებაშიაც კი იგი მისი ნავთ-სადგური ყოფილა; სახალხო მუსიკა-სიმღერა, როგორც მხატვრული აღწერა ხალხის რომელისამე დიდებულ წარსულისა, როგორც ხელოვნების სხვა დარგთან შეუდარებელი თქმულება წინაპართა ყოფა-ცხოვრების ღირსებათა, სიმღერა ლვაწლისა, თავგანწირულებისა, სიხარულისა და ღრმა რწმენისა, ისეთი ძლიერი რამ ელემენტია ზნეობრივი, რომელიც ლამპარივით უნათებს ერს წინ და აჰყავს ცხოვრების მთაზედ გამარჯვებული; ქართველთა ერი თავის დიდსულოვანობასთან, სიმტკიცესთან და დაუსრულებელ ძალასთან ერთად, რომელიც მან გამოიჩინა მტერთან განუწყვეტელ ბრძო-

**დ. ხონი.** სამწუხარო მოვლენაა, რომელსაც ყოველ კუთხიდგან ჩვენს გაზეთებს ცარცვა-გლეჯის, ავაზაკობის და კაცთა კვლის ამბავი მოსდის! კითხულობ გაზეთებს და ძალა-უნებურად ეკითხები შენს თავს: რა ამბავია, რის მიზეზია, რომ ჩვენი სოფლები ავაზაკებით აღვსილია? რის მიზეზია, რომ ადამიანი ადამიანს არ ინდობს: ჰკლავს, ცარცვავს, ჰყვლეფს?! ალბად შიმშილობაა, ალბად სიღატაკეა, ალბათ გაჭირვებაა, მოუსავლობის მიერ გამოწვეული, რომ ადამიანს თავი შეაძულა და შეუნდობელი ბოროტება ჩაადენინა! ხონში მოვიდა ამბავი, რომ 12 ენკენისთვეს დ. სამტრედიიდგან ხონში მიმავალ დილიჟანს შუა დღეზედ, ხონის შუა გზაზედ (სახელდობრ კოდარაზედ) დაეცნენ ყაჩაღები; გაცარცვეს დილიჟანში მჯდომი პასაჟირები—ასე 1500 მანეთის საღირალი რამ წაართვესო, ზოგი ფულად, ზოგი ნივთად, და არხეინად გაუდგნენ გზას ბოროტ-მომქმედნიო. ამ გზაზედ ხშირია ბოროტ-მოქმედება. ამას წინად აქ ვიღაც ბოროტმა 5 მანეთისათვის ერთი ახალგაზდა ყმაწვილი მოჰკლა და მისი მკვდარი სხეული მდინარე კოდარაში ჩააგდო. ერთხელ აქ ქუჩაში ბოროტ სულებს მოხუცი დედაკაცები გაეცარცვათ; წაერთმიათ: შალი, წინდები და ღვთის ანაბარად გაეშვათ! როდის იქნება რომ ესეთ გულ-შემზარავ ამბებს ბოლო მოეღოს?!..

ილია ბახტაძე.

---

### ქუთაისის ქალაქის საბჭო.

15 ამ თვეს ქუთაისის ქალაქის საბჭომ განიხილა—თუ მართალს ვიტყვით, არ განიხილა—ქუთაისის მილის წყლის ამხანაგობის რამდენიმე წინადადება. ქალაქის თავი ბ-ნი ლორდქიფანიძე შეეკითხა ბ.ბ. ხმოსნებს, თუ როგორ გადასწყვეტთ ასეთს საგანს, აქვს ნება ქ. ქუთაისს თუ არა მიიჩნიოს ზემოხსენებულ ამხანაგობის პირობა ქალაქთან სრულიად დარღვეულადო. თვით ქალაქის თავმა, ცნობილმა და გამოცდილმა ნაფიცმა ვექილმა, ეს საგანი სცნა იმდენად რთულ და გადასაწყვეტად საძნელო საქმედ, რომ გამოაცხადა, საჭიროა ამისათვის კომისიის დანიშვნაო. ამავე აზრისა იყო აგრეთვე ქუთაისის ცნობილი ნაფიცი ვექილი ბ. ა. საყვარელიძე, რომელმაც ამ საგანს, იურიდიულ გარდა, პრაქტიკულის თვალითაც შეხედა. თუმცა ყოველივე ასეა და საგანი სწორედ საძნელო გადასაწყვეტია კიდევ იმიტომ, რომ შეეხება თვით ქუთათურების ეკონომიურ მდგომარეობას, მათს პაიების ფულს, საბჭომ თითქმის გადაუხილავად გადასწყვიტა, პირობა ამხანაგობასთან სრულიად დარღვეულიაო, პაიების ფულები, რომელშიაც რამდენიმე ათი-ათასი მანეთი თვით ქუთათურებისა ურევია, ქუთაისის საქალაქო მმართველობის კასის საკუთრებააო.

ესეა ჩვენი საქმე: აქაც როგორც ყოველ სხვა საქმეში, ჩვენდა საუბედუროდ, ერთობ აჩქარება ვიცით. თქვენ თვითონ განსაჯეთ: საქმეში რაოდენიმე ათი-ათასი მანეთია უკვე დაბანდებული, შეგროვილი პაების სახით და ეს რამდენიმე ათი-ათასი მანეთი ქალაქს ჰქონდა მიბარებული. ეს ამოდენა ფული წაერთვათ პატრონთაო. ამისთანა საქმეში აჩქარებას არავითარი საბუთი არა აქვს. თითქმის განგებ სუყველა დადუმებული იყო მის თაობაზედ, თუ რა მიზეზის გამო ამხანაგობამ ვერ შეასრულა დღემდის თავისი პირობა, სად არის დღეს პაიების ფული და სხვა და სხვა.

---

# რუსეთი

### ვინ მოუნდომა მოკვლა ოდესის გრადონაჩალნიკს.

«რ. სლ.»-ს კორესპონდენტი დაწვრილებით სწერს, როგორ იყო, რომ ვიღაც ახალგაზდა კაცმა ესროლა რევოლვერი ოდესის ქალაქ-პეტს ანუ გრადონაჩალნიკს: 9 სექდემბერს, დილის მეათე საათზე ქალაქ-პეტი და ოდესაში სტუმრად მყოფი ფლიგელ-ადიუტანტი თავადი ობოლენსკი დასეირნობდნენ ბულვარზედ. თბილი სასიამოვნო დილა იყო. ხალხიც ბლომად დასეირნობდა. იმ დროს როცა ქალაქ-პეტი ნეიდგარდი და ობოლენსკი პუშკინის ძეგლს უახლოვდებოდნენ, ხეივანში გამოჩნდა ერთი ყმაწვილი კაცი. ეს კაცი პირდაპირ იმათკენ გაემართა, 6—7 ნაბიჯზედ გაჩერდა, უცბად ამოიღო რევოლვერი და შიგ გულში დაუმიზნა ქალაქ-პეტს. ბოროტ-მომქმედმა დასწია ჩახმახს, მაგრამ ჩახმახმა უმტყუნა და რევოლვერი არ გავარდა. ერთის წუთის განმავლობაში ჩახმახი კვლავ ფეხზედ შეაყენა და გავარდა რევოლვერი ტყვია ასცდა ქალაქ-პეტს, რომელიც უვნებლად გადარჩა. ბოროტ-მომქმედი გაიქცა რევოლვერით ხელში. ქალაქ-პეტი არ შეკრთა და თავად ობოლენსკისთან ერთად გამოუდგა გაქცეულს. თავადმა სტაცა კისერში ხელი, დასცა ძირს, ხოლო ქალაქ-პეტმა რევოლვერი წაართვა. წაართვა კიდევ დიდი ხანჯალი, რომლითაც სუბუქათ გაიჭრა ხელი. დამნაშავე ყმაწვილი კაცია 22—23 წლისა. უბრალო პიჯაკი აცვია, პიჯაკ ქვეშ კიდე ბლუზა. რევოლვერი რვა ლულიანი იყო და მხოლოდ ერთი ლულა ჰქონდა გატენილი. დამნაშავე დააპატიმრეს. უნდა გაიგონ მისი ვინაობა. ამბობენ მუშაო. ქალაქ-პეტს იქვე მიულოცა ხალხმა სიკვდილს გადარჩენა

---

ლაში, მასთანავე იყო სიმართლის დროშის მატარებელი და ამ დროშის დამამშვენებელი იყო დევიზი დაჩაგრულ ხალხთა ხსნისა და განთავისუფლებისადმი მისწრაფებისა. თუმცა კაცის უმადურობამ ეს მადლი მატლად გარდუქცია ქართველს, მაგრამ ფიქრი არ არის! საქართველოს თავზედ გრიგალივით გადუვლია რამდენსამე ათასს საუკუნეს ელვაჭექით, გრგვინვა-ქუხილით და ამ ხნის განმავლობაში იგი ბევრჯელ ყოფილა მტრისგან დაჩაგრული და განწირული ბედისგან, ბევრჯელ გასჭირებია უმწვერვალესად, ბევრჯელ მოოხრებულა ულმობელის მტრის ხელით და ნაოხრად ქმნილან მისი გარემო-მიდამონი, ტაძარნი, კოშკნი, სასახლენი და პალატნი, მაგრამ ქარი ჩავარდნილა, შავ-ბნელი ღრუბელი გაფანტულა, ცას გამოუდარნია და ცხრა-თვალ მზეს კვლავ განუცოცხლებია მკვდარი ქვეყანა, კვლავ ფენიქსებრ განუახლებია და აღმდგარა მკვდრეთით მისი ტანჯული და წამებული გული; დაუწყვია ისევ ცემა მკერდში და აღვსებულა გრძნობით—კვლავ ისევ დაუწყვია ხალხს ქების შესხმა თავის საყვარელ მამულისადმი.

ამ ქების შესხმამ—საერო მუსიკა-სიმღერამ ეხლაც მხიარულად უნდა მოჰმართოს ჩანგი წარსულ სიმართლის საქადაგებლად, დაჰკრას მის სიმებს, დააკვნესოს ციური ხმები და ამცნოს ყველას, რომ მოვიდა ჩვენთვის ისევ სანეტარო დრო ჩვენის არსებობისა, რომ ქართველთა ხსნის პიონერი—მისი ხალხური მუსიკა-სიმღერა, თავის ძლიერის სიტყვით, შეადგენს სახელსა და დიდებას ქართველის ერისას; იგი ძლიერად და ამაყად უნდა გაისმას მთელს მსოფლიოში, კიდით-კიდემდე. მან უნდა გამოიჩინოს თავის სიდიადე და დაუსაბამო დიდბუნებოვანება, იგი უნდა გახდეს თავმოსაწონებელ საგნად და დიდებად ჩვენის სამშობლოისა.

ქართველთა ერი მოვალეა ამ საგანს პატრონობა გაუწიოს და იზრუნოს ეროვნულ მუსიკა-გალობის საქმის წესიერად მოწყობისათვისაც. ჩვენდა საბედნიეროდ, ამგვარი მეცადინეობა უკვე დაწყებულია და პირველი ქვაც საძირკვლისა ჩაგდებულია; ამ ცოტას ხნის წინად მთავრობის შენიშვნების თანახმად შესწორებული წესდება ხელმეორედ წარედგინა, სადაც ჯერ არს, მომავალ ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა; მთავრობამ სურვილი გამოაცხადა დაამტკიცოს ეს წესდება. ეხლა ცდაა საჭირო, რომ ეს პირველი ქვა, რომელზედაც ჯერ მაინცა და მაინც მკვიდრი კედელი არ აშენებულა, არ ყოფილიყოს უკანასკნელი. ძნელად დასაჯერებელია, რომ ტფილისში ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების დაარსებას ყველა ქართველი, განურჩევლად წოდებისა, სიხარულით არ მიეგებოს; საჭიროა, რომ ამ განზრახვამ მოიპოვოს მთელის ერის თანაგრძნობა გამოიწვიოს ყველას დახმარება; ამ საეროვნო საქმეში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველამ: თავადმა თუ გლეხმა, ერმა თუ ბერმა, ნასწავლმა თუ უსწავლემლა, მოხუცმა თუ ყრმამ, ეკკლესიამ თუ ოჯახმა. ყველას გვახსოვდეს, რომ მომავალი ქართული ფილარმონიული საზოგადოება მფარველი იქნება ხალხის ღირსეულ სულიერ ცხოვრების ძეგლისა, იმ ძეგლისა, რომელიც თავის ციურის ჰანგებით სთესავდა ჩვენ შორის სიკეთეს, რომელიც ყოველ ქართველის გულში ახლაც აღვიძებს სიყვარულს სამშობლოსას, აღვიძებს იდეას ძმობისას, ერთობისას და ეროვნულ თვით-შეგნებისას; მხოლოდ ამ შემთხვევაში აღსდგება და მტკიცე ნიადაგზედ დაფუძნდება ეს ყველასათვის სანატრელი და სანუკარი ქართულ მუსიკა-სიმღერის საქმე.

ი. კარგარეთელი.

---

### ჟურნალ «მოგზაურის» პედაგოგიური ნაწილი.

შემდეგი *)

მეორე ცნობილი მეცნიერი პალმერი უფრო ცხადად ამტკიცებს საზეპირო ვარჯიშობის საჭიროებას. «ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ზეპირ-სწავლების სრულიად განდევნა, რადგანაც ვითომც არა თუ ავითარებს მოწაფის სულიერს ძალას, არამედ ჰქანცავს კიდეკაო, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ, არის ერთი მთავარ მიზეზთაგანი ეხლანდელის უნიადაგო განათლებისა. ამ უარის ყოფამ მიიყვანა ზოგიერთები იქამდის, რომ დღევანდელი ახალგაზდობა მსჯელობს და ლაპარაკობს ყველაფრის შესახებ, მაგრამ საფუძვლიან სწავლას ვერაფერში ვერ იჩენსო. არის ისეთი საგნები, რომლის შესწავლაც მხოლოდ ზეპირად არის შესაძლებელი. ზეპირ-სწავლების დროს სული თავის თავს წრთვნის, თადარიგს უწევს, რაც მისთვის საკეთილოა. ზეპირ სწავლების შეჯავრებას კი თან მოსდევს სათუთობა, რომელიც ეწინააღმდეგება ქრისტეანულ სწავლის მცნებას. ძველის დროის სწავლების შეცდომა ის იყო, რომ სრულიად არ ზრუნავდნენ საზეპიროს შეგნებისათვის, სწავლით ხალხის გაღვიძებისათვის. თუ ეს პირობა დაცული იქმნება, ზეპირი სწავლა და მექანიკური ვარჯიშობა ბევრად სასარგებლო გამოდგება, არა მარტო პირდა-პირ სურვილის მისაღწევად, არამედ მოზარდ თაობაში ხასიათის გასამტკიცებლადაც».

დისტერვეგის სიტყვით, მოწაფემ არაფერი უნდა ისწავლოს ისეთი, რაც შემდეგ მიეცემა დავიწყებას. რაც ითვლება იმდენად საჭიროდ, რომ მოწაფეს ზეპირად ასწავლიან, ის არასოდეს არ უნდა იქმნას მისთვის დაკარგული. რაც მოწაფეს უსწავლია დაბალ კლასებში, ის უნდა ახსოვდეს მაღალ კლასებშიაც ისე მტკიცედ, თითქოს ეხლახან ესწავლოს. ამისთვის უნდა ზრუნავდეს სასწავლებელი და ამ აზრის უარის ყოფა სწავლების საქმეში კეთილ-სინიდისიანობა არ არის. უსაფუძვლო იქმნება ვიფიქროთ, რომ ნივთიერი დასაკლისი შეივსება მეხსიერების გაძლიერებით. მეხსიერების ძალა შეკავშირებულია საგნებთან და გაჰქრება მასთან ერთად. ასწავლით ისე, რომ შემდეგ მალე დავიწყებას მიეცეს ნასწავლი—ეს ნიშნავს მოწაფის მეხსიერების შესუსტებას და მოსპობას. ამიტომ, საჭიროა, ნასწავლის ხშირი გამეორება და ხელ ახლად განმარტება ნასწავლისა, საჭიროა მისი განახლება მეხსიერებისათვის. ყველაზე უფრო საჭიროა ნასწავლი, დაზეპირებული კარგად და მუდამ ახსოვდეს მოწაფეს და არა სწავლობდეს ახალს და თან ივიწყებდეს ძველ ნასწავლს. ბევრის მოწაფისა და მოზრდილების სულისა და ხასიათისა სისუსტე აიხსნება იმითი, რომ ბევრი იციან ნახევრად და არც ერთი არ იციან საფუძვლიანად. საფუძვლიანი ცოდნა კი იმას ჰქვიან, მუდამ ხელთ გქონდეს საჭირო მასალა და ყოველ შემთხვევაში თავისუფლად, თამამად გამოიყენო. მაღალ კლასების რომელისამე საგნის მასწავლებელმა უსათუოდ უნდა იცოდეს ყველაფერი, რაც ბავშვებს უსწავლიათ დაბალ კლასებში, იმიტომ, რომ ყველა ეს ცოდნა ხშირად გამოიყენოს სწავლების საქმეში». — ჟურნალი „მოგზაური“ თავის პედაგოგიურს წერილებში ხშირად უარს ჰყოფს სახელმძღვანელო სასწავლო წიგნების მნიშვნელობას პირველ დასაწყის სკოლებშიაც კი, პირიქით მავნებლადაც მიაჩნია და ერთის «ჭეშმარიტების მოყვარის» პირით თამამად ჰქადადებს, «სახელმძღვანელო წიგნების ხმარება სრულიად აკრძალულ იქმნა მოწაფეთა კარგა ჰასაკში შესვლამდე, რადგან იგი სწავლების პირველ ხანაში, არა თუ მარტო უსარგებლოა, არამედ მავნებელიც (იხ. „მოგზ.“, № VII და VIII 1903 წ. გვ. 515. (სახელმძღვანელო წიგნების ნაცვლად ბ-ნი როსტომაშვილი თავისს რუსულ და ქართულ წერილებში ამ საგნის შესახებ გვირჩევს: «ნელ-ნელა და სიადვილე-სიძნელის თანდათანობის მიხედვით მოწაფეებს ვაძლიოთ საკითხავად და შესასწავლად განგებ არჩეული თხზულებანი გამოჩენილ მწერალთა, მკვლევართა და ამა თუ იმ საგნის შემქნელთა». (გამოსადეგი ცნ., წიგნი II, 1902 წ. გვ. 5.).

პირველ დასაწყისს სკოლებში სახელმძღვანელო წიგნების ხმარების შესახებ ყველგან და ყოველთვის ბევრსა სწერდნენ და დღესაც სწერენ, მაგრამ ისეთი ლაღი, თამამი და უსაბუთო ორჭოფი აზრი, რომელსაც «მოგზაური» წარმოსთქვამს ხსენებულის საგნის შესახებ, მგონია, ჯერ სხვას არ მოსვლია ფიქრად. რა დრომდის არ შეიძლება ბავშვებისათვის სახელმძღვანელო წიგნების მიცემა, ამას „მოგზაურის“ პედაგოგები არ გვეუბნებიან. თუ ამერიკელებს მივბაძავთ, ისინი ნახევარ წლის შემდეგ აძლევენ ბავშვებს სახელმძღვანელო წიგნებს, მაშინ, როდესაც ჩვენმა ბავშვებმა, ნახევარ წლის განმავლობაში, თავისუფალი წერა-კითხვა უნდა იცოდნენ. ჩვენც წინააღმდეგი ვართ იმისი, რომ ბავშვს სკოლაში შესვლისათანავე მიაჩეჩონ ხელში სახელმძღვანელო სასწავლო წიგნები, მაგრამ მას შემდეგ, რაკი პატარა მოწაფეები რამდენისამე ასოს წერა-კითხვას შეისწავლიან, მოძრავ ასოებზე ანუ კედელზე გამოსაკიდებელ დიდის ასოებით დაბეჭდილს პირველ დაწყებით საკითხავ მასალაზე, არავითარი ცოდვა არ იქნება ანბანი და პირველი საკითხავი წიგნებიც მიეცეთ ხელში, რადგანაც საყოველთაოდ შენიშნულია, რომ ბავშვებს წიგნები ძალიან უყვართ და დიდის ხალისითაც კითხულობენ ყველა იმას, რაც მათთვის ადვილი გასაგები და მისახდომია. როგორც რუსების ბავშვებმა შეიყვარეს უშინსკის „Родное Слово“, რომელიც დღესაც ხმარებაშია და ჯერ კიდევ საუკეთესოდაც ითვლება სხვა სახელმძღვანელოთა შორის, ისე ქართველ ბავშვებს აქვთ ჩვენის პედაგოგის ი. გოგებაშვილის «დედა-ენა». დღეს იშვიათად ჰნახავთ საქართველოში ოჯახს, სადაც ოთხი-ხუთის წლის ბალღები არ ტიტინებდნენ «დედაენიდან» ჩიტი-ჩიორას ამბავს, ყაყაჩოს ლექსს და სხ.; სკოლაში მოწაფეებს დიდ დღესასწაულად მიაჩნიათ ის დღე, როდესაც წიგნებს ურიგებენ. შეიძლება ამერიკელი ბავშვები მოკლებულნი იყვნენ ამ თვისებას, რომელიც ჩვენს ბავშვებში შეინიშნება და ან შეიძლება ამერიკელი პედაგოგები ამ გარემოებას უყურადღებოდაც სტოვებდნენ, სხვა მოსაზრებათა ძალით, მაგრამ ჩვენ კი სრულიად სასარგებლოდ არ მიჩვაჩნია ჩვენის ბავშვებისათვის უარ ვყოთ სახელმძღვანელო სასწავლო წიგნების სარგებლობის მნიშვნელობა და ან დავაგვიანოთ მისი მიწოდება ამერიკულად, ნახევარ წლით.

ლ. ბოცვაძე.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია“, № 212.

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

15 სექდემბერი.

**ტოკიო.** (რეიტერი). რუსეთის რკინის გზა – პორტ-არტურის ლიანდაგი ჩრდილოეთად ხაიჩენამდე იაპონელებმა ვიწრო ლიანდაგად გადააკეთეს. დადის უკვე 60 მატარებელი და ათასამდე ვაგონი იაპონელებისა.

**სინმინტინი**, 14 სექდემბერი. (რეიტერი). კუროპატკინს ხუნხეს ჩრდილოეთის ნაპირი უჭირავს, აქვს 264 ზარბაზანი. ჯარები საჩქაროდ მისდის ხარბინიდან. — ხუნხუზთა ორი ცნობილი წინამძღვარი ამ ჟამად 200 მილზე არიან მუკდენიდან ჩრდილოეთად, ხარბინის უმთავრესს გზაზე. ამბობენ, იმათ 80 ათასი კარგად შეიარაღებული კაცი ჰყავთო. მესამე ბელადი 10 ათასი კაცით ჩრდილო-დასავლეთად არის. უეჭველია ეს რაოდენობა გაზვიადებულია. ამ ხუნხუზთა რაზმებს განზრახვა აქვთ რკინის გზა გადასჭრან, შესწყვიტონ მისვლა-მოსვლა, ხელი შეუშალონ რუსებს საკლავი საქონლის და სურსათის მოტანაში. გლუნშანი, ბელადი, რომელმაც რუსებს მოსტაცა ათასი ხარი სანშიხოში, იაპონელებს დაუქირავებიათ.

**ტოკიო.** (რეიტერი). არა-ოფიციალურის სტატისტიკურის ცნობებით, დაჭრილთა და ავადმყოფთა რაოდენობა იაპონიის საავადმყოფოებში 45 ათას კაცამდეო. იმათგან ცხრა ასი ისე მორჩა, შეიძლება სალს მთიანს ადგილას გაიგზავნენ. წამლობის წესი ისეთი მშვენიერია, რომ ძალიან ცოტა იხოცება.

**პეტერბურგი**, 15 სექდემბერს. სადგურ ახალ პეტერგოფიდგან წაბრძანდა ოდესის სამხედრო ოლქში, სადაც ჯარები მოგროვილია შორეულ აღმოსავლეთს გასაგზავნად, ხელმწიფე იმპერატორი დიდის მთავრის მიხეილ ალექსანდრეს ძის თანხლებითა.

**სტამბოლი.** (რეიტერი). გემ «ნიჟნი ნოვგოროდზე» ათასი ჯარის კაცია. ისინი მიდიან, რომ კუნძულ კრიტზე დათხოვნილ მეციხოვნეთა ადგილი დაიჭირონ.

**ირკუტსკი.** ბაიკალის გარშემო გაკეთებულ რკინის გზამ უკვე ზოგ ალაგას მოქმედება დაიწყო. პირველი მატარებელი შვიდი ვაგონით გამოვიდა სადგურ ბაიკალიდგან, იმას მოჰყვა მეორე წითელი ჯვრის ვაგონებითა. პირველს მატარებელში იყო გზათა მინისტრი, რომ გზა გაეშინჯათ. ამ დროს სადგურებზე დასდგეს და ამოქმედეს ტელეფონები. ტელეგრაფი და სადგურის სახლები მზად არის.

16 სექდემბერი.

**პარიჟი.** (ბერლინით). როგორც სეულიდგან იუწყებიან, იაპონელთა რაზმს, 1600 კაცისაგან შემდგარს 20 ზარბაზნით, თავს დაესხნენ ყაზახები ხაშხინის გზაზედ. იაპონელებს 10 მოუკლეს და 17 დაუჭრეს. გენზანში იაპონელთა მეციხოვნეთა რაოდენობა საკმაოდ გააძლიერეს. გენზანსა და მდინარე ტუმენ შუა ელიან ვლადივოსტოკის მეციხოვნეთა ჯარებთან შეტაკებასა.

**პარიჟი**, (ბერლინით). რუსის უმთავრეს სადგურიდან იუწყებიან, რომ იაპონიის ძლიერი რაზმები აწვებიან ფუშუნჩენისა და სინმინტინისაკენ. ამ ადგილებთან, ვგონებთ, მოხდება შეტაკება კუროპატკინის ლაშქრის მოწინავე რაზმებთან.

**ირკუტსკი.** იმდენად კარგად აუშენებიათ გზა, რომ პირველში მატარებელმა კარგის სიჩქარით გაიარა, დაბრკოლება არ შეხვედრია და თავის დროზე მოვიდა კულტუკს. ამ ამბავისათვის სადღესასწაულო ფერი არ მიუციათ, მაგრამ მაინც გვირაბის შესავალი დ შენობები ბაირაღებით და მცენარეულობით იყო შემკული. მ-47 ვერსზე გაკეთებული იყო კამარა წარწერით: «ლისსაბონ-ვლადივოსტოკი». გვირაბში, როცა მატარებელი მოდიოდა, ჩირაღდნები ენთო. მუშები შეკრებილიყვნენ და «ურას» ძახილით შეეგებნენ მატარებელსა.

**ტოკიო.** (რეიტერი). ახალი 5% სესხი იაპონელთა 80 მილიონი გამოიცა პირობით 92%.—კანონი ჯარის-კაცთა გაყვანისა შეიცვლება, ამას შედეგად ლაშქრის გამრავლება მოჰყვება.

**სარატოვი.** ვაჭარმა გორინმა საქველმოქმედო დაწესებულებათათვის შესწირა ქალაქს ერთი მილიონი მანათი.

**სტამბოლი.** (ბიურო) ოსმალეთის წინადადებისამებრ ათინაში, საბერძნეთის მთავრობამ აღუთქვა, საზღვრის დარაჯს გავაძლიერებთო, რომ რევოლიუციონერთა ბრბოებს საზღვარს გადასვლა არ შეეძლოთ. ამ გვარს ღონეს ოსმალეთიც მიმართავს.

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება: შინაგან საქმეთა მინისტრები ტაინი სოვეტნიკები ზინოვიევი და სტიშინსკი დანიშნულ იქმნენ სახელმწიფოს საბჭოს წევრებად.

უმაღლესად დაარსებულ კომისიისაგან, რომელიც ჰირისა და ხოლერის ასაცდენად იბრძვის: «5-დან 12 სექდემბრამდე კასპიის იმიერ ოლქში გახდა ხოლერით ავად 22 და მოკვდა 11. უფრო ბევრი გახდა ავად მერვში—19 კაცი. მერვს გარეშე ცოტანი დახდნენ ავად. მერვს ახლო-მახლო აღარავინ გამხდარა ავად. ბაქოს ამ უკანასკნელ დღეებში იმატა ავადმყოფთა რიცხვმა. 5—14 სექდემბრამდე გახდა ავად 60 და მოკვდა 35. სექდემბრის 4 ხოლერამ იჩინა თავი სარატოვში და 6—14 სექდემბრამდე კიდევ გახდა ხოლერით ავად 9 კაცი, მოკვდა 3. ყველანი, ერთს გარდა, რომელიც პეტროვსკიდგან მოვიდა, იქაურნი მცხოვრებნი არიან, ხელობით მუშა-კაცნი, გემების მტვირთველნი და რკინის გზის საქონლის მებარგენი».

**ჩიფუ**, 15 სექდემბერს. (რეიტერი). რუსთა ცნობით, იაპონელთ დაჰხოცვიათ და დასჭრიათ პორტ-არტურის უკანასკნელ იერიშის დროს 7000 კაცი. ჩინელი, რომელსაც ციხე დაუტოვებია 13 სექდემბერს, ამბობს, რომ რუსების ზარალი 600 კა-

ციაო. იაპონელთ ვერ შეიმაგრეს სამი მოწინავე სანგარი, უკანასკნელად დაჭრილი და უკან დაიწიეს შუადღისას 13 სეკდემბერს. სამს დღეს საშინლად ესროდნენ იმათ ყუმბარებს რუსნი შინაგან სიმაგრეთაგან. უკანასკნელ იერიშის შემდეგ რუსნი სცდილობდნენ ღამე დაემარხათ დახოცილნი რუსნი და იაპონელნი. რამდენიმე ასი იაპონელი დაიღუპა 10 სეკდემბერს ნაღმების აფეთქებით. რუსთა გემნი არ იღებდნენ მონაწილეობას უკანასკნელს ბრძოლაში. ლიაოტეშანზედ რუსნი აგებენ ახალს სიმაგრეს, რომლის ზარბაზნები ხმელეთისაკენ იქმნება პირმიქცეულნი.

**ტოკიო**, 15 სეკდებრს. (რეიტერი). «ძიძი შიმპო» აღნიშნავს, რა ძლიერებით მოქმედებს ყველაზედ ინგლისს-იაპონიის კავშირი და ურჩევს მთავრობას, როცა ვადა გავიდეს, უფრო გაფართოვებულ უნდა ჰყოთ მისი მნიშვნელობა იმ აზრით, რომ უზრუნველ ყოფილ იქმნას ორისავე ქვეყნის ინტერესები არა მარტო ჩინეთსა და კორეაში, არამედ სხვა სფერაშიაცაო. დარწმუნებული ვარო, ამბობს «ძიძი», ამ ომს შემდეგ იაპონია იმდენს რასმე შეიძენს, რომ საჭირო შეიქმნება მისი ინტერესების სფერის გავრცელება. მაგალითად, სახალინი იაპონიის ხელში უნდა გადავიდესო. ყოველ შემთხვევაში ქვეყნის მოქმედების და სარბიელის საზღვრები განზე გაიდგმის შესამჩნევად. მეორეს მხრივ, ინგლისისათვის ხელ-საყრელი იქმნება იაპონიის დახმარება იგულოს, თუ ვინიცობაა რუსეთმა მუქარა დაუწყო ან თვით ინგლისს ან სპარსეთსა და ინდოეთს.—ომის გამოცხადების შემდეგ იაპონია პირველად იჩენს ამ ჟამად მოუთმენლობას პორტარტურის დაცემის გახანგრძლივებისა და გაჭიანურების გამო. ეს მოუთმენლობა იხატება აქაურ დიდ გაზეთებში, რომლებიც უმთავრესნი გამომთქმელნი არიან საზოგადოების აზრისა და გრძნობისა. ეს გაზეთები კითხულობენ, რატომ გენერალმა ნოგიმ ვერ შესძლო და ვერ აიძულა ციხე დაჰნებებოდაო. ერთი გაზეთი შეჰნიშნავს: «ჩვენ კი გვინდა გაუგზავნოთ ქებულს გენერალს გალესილი დაშნა ქარიკირისათვის, რაიცა ლოგიკური შედეგია მაშინ, როცა კაცს შნო არა აქვს წარმატებით შეასრულოს ასეთი დიდი და მძიმე მინდობილობა». სხვა გაზეთები, მგზნებარედ მომთხრობნი იმისი, რომ პორტ-არტური დაეცემაო, ახლა სდუმან და სრულიად ხმას აღარ იღებენ იმ ბრძოლაზე, რომელიც ნახევარ-კუნძულზე სწარმოებს. ერს კარგად ესმის საზოგადოდ, რომ პორტ-არტურის აღება მეტად დიდი საქმეა. მას შემდეგ, რაც ასეთი მარცხი მოუვიდა ნოგის ამ უკანასკნელს გაათფთრებულ ბრძოლაში, იმ აზრს გამოსთქვამენ, რომ ციხე 2 3 თვეს კიდევ გამაგრდებაო.—ამ კვირია ნოგის ახალი მაშველი ჯარი გაუგზავნეს. ათი-თორმეტი ათასი ჯარის კაცი იქმნება გაგზავნილი ახალ ციხის სანგრევ ზარბაზნებითაო. დაჭრილნი ჯარის კაცნი, იქიდგან მოყვანილნი ტოკიოს, ამბობენ, რომ რუსნი გაათფთრებით იცავენ თავსაო. ყოველ-გვარ ხერხსა ჰხმარობენ იერიშით მიმსვლელთა მოსაგერებლად. მეციხოვნენი ამ აზრით წიწაკასაც კი ჰხმარობენ. აღწერილობით იმ საშინელის ზარალისა, რომელიც ნაღმების აფეთქებით მოგვივიდა, გაზვიადებული არ არის მართლა დიდი ზარალი მოგვივიდაო: რუსნი ყოველ ღამე ახალ ნაღმებს აწყობენ მიწაში. პორტ-არტურის მისავალი გზები დინამიტით არის მოფენილი. ორნივე მებრძოლნი არაქაო გამოლეულნი არიან დაქანცულობით.

---

დროებით რედაქტორი **ზრ. ჩიქოიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

## გამოსადეგი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**
15 სეკდემბერს 1904 წ.
ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . . | 93,85 |
| ბერლინში 100 მარკაში . . . . . | — |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . | 37,35 |
| ლონდონში ჩეკები . . . . . . | 94,50 |
| ბერლინში „ . . . . . . . | 46,30 |
| პარიჟში . . „ . . . . . . . | — |
| ბირჟის დისკონტი. . . . . . | $6—7^1/_2$% |

| | |
|---|---|
| 4% სახელმწიფო რენტა . . . | $91^1/_4$ ნ. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . . . | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . . | $88^5/_8$ წვ. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 386 წ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . | $303^1/_2$ ნ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | $255^1/_2$ წვ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . | — |
| $4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. . . . . | — |
| $4^1/_2$% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა. . . . . . | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |

---

### ს ა ა ვ ა დ მ ყ ო ფ ო ე ბ ი:

**ქალაქის სახაზინო საავადმყოფო**,—მიხეილის ქუჩა, სახაზინო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

**ქალაქის სამკურნალო**—მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა უფასოა. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვიჩი

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:**

**ავლაბრისა.**—კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტეროვისა. გამგე ექიმი ი. იგიტიანცი.

**კუკიისა**—ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გძელიშვილი.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

**თვალების სამკურნალო**—კრილოვისა და ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე, სახლი ლიბერმანისა, № 15 (ლიბერმანის სტამბის ზემო სართულში). ავადმყოფთ უფასოდ აძლევენ რჩევას. სამკურნალოს გამგე-დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი ექიმი ქალი პუტიატა.

**ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის**—უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე. ბარონ ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

**სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის** საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი, თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

**გადამდებ სენით ავადმყოფთათვის** უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

**ქალაქის უფასო ღამის თავშე-საფარი სახლები:**

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

---

## ს ი ა

ტფილისის ქალაქის სასანიტარო-აღმასრულებლ კომისიაში ჩარიცხული ექიმებისა, რომლებმაც უფასო სამკურნალო დახმარება უნდა გაუწიონ ღარიბ ავადმყოფთ

ავადმყოფმა უნდა მიჰმართონ საექიმო დახმარებისათვის რომელსამე ქვემოდ-აღნიშნულ ექიმთაგანს, მაგრამ სასურველია მიჰმართონ უფრო მახლობლად მყოფს.

**ალადაშვილი**, ალექსანდრე სტეფანეს ძე. იღებს ავადმყოფებს დილით 7 საათ.—9 საათ. საღამოთი 8 საათ.—9 საათ.

ადრესი: ეგზარხოსის მოედანი, სინოდალურ კანტორაში.

**გედალინი**, ალექსანდრე გიორგის ძე. 10 საათ.—$11^1/_2$ საათ. (ცენტრალურ სამკურნალოში), საღამოთი 5 საათ.—7 საათ. სახლში, ბარონის ქუჩა, ავეჯეულის რიგი. სახლი თამამშევისა № 16.

**გეცელი**, ოტტო გიორგის ძე. დილით 7 საათ.—9 საათ., საღამოთი 7 ს.—9 საათ.

მიხეილის ქუჩა, მიხეილის საავადმყოფოს შენობაში.

**ჯანიბეგოვი**, ესტატე ნიკიტის ძე. დილით 7 ს.—9 ს., საღამოთი 7 ს.—9 ს.

სოლოლაკში, ამაღლების ქუჩა, სახლი № 17

**ელჩიევი**, მნაცაკან რომანოზის ძე. დილით 7 ს.—9 ს., საღამოთი 5 ს.—7 ს.

მიხეილის ქუჩა, სახლი № 111.

**ზაბლუდოვსკი**, იოსებ მათეს ძე. დილის 10 ს.—$11^1/_2$ ს. (კუკიის ქალაქის სამკურნალოს განყოფილებაში), საღამოთი 5 ს.—8 ს., სახლში:

გრიბოედოვის ქუჩა, სახლი № 40

**კასუმოვი**, ნიკოლოზ გერასიმეს ძე. დილით 10 ს.—$11^1/_2$ ს., (ქალაქის სამკურნალოს კუკიის განყოფილებაში), საღამოთი 5 ს.—7 ს.

ალექსანდრეს ქუჩა № 36.

**მირზაევი**, მიხეილ ივანეს ძე. დილით 7 ს.—9 ს. საღამოთი 7 ს.—9 ს.

კრასნოგორსკის შესახვევი № 8.

**საათსაზოვი**, ივანე თომას ძე. დილით 8 ს.—9 ს., საღამოთი 4 ს.—5 ს.

ალექსანდროვის ქუჩა № 6.

**თათევოსიანი**, ტიგრან მათეს ძე. დილით 9 ს.—1 ს. (ქალაქის სამკურნალოს ხარფუხის განყოფილებაში), 86 ს.—საათ. საღამოთი სახლში.

კრწანისის ქუჩა, სახლი თაიროვისა № 11

**ხატისოვი**, ნიკოლოზ დავითისძე. დილით 7 ს.—8 ს. და საღამოთი 4 ს.—6 ს. აგრეთვე დილით 10 ს.—12 ს. სამკურნალოს ავლაბრის განყოფილებაში.

ბებუთოვის ქუჩა № 27.

**შახ-აზიზოვი**, არტაშეს ივანეს ძე. დილით 10 12 ს., საღამოთი $7^1/_2$ - $8^1/_2$ ს. გონჩარნი ქუჩა, № 30 (ჩუღურეთში).

**შჩერბინინა**, ანნა ივანეს ასული. დილით 10 - 12. (ქალაქის სამკურნალოს დიდუბის განყოფილებაში), საღამოთი 4—6 ს სახლში,—ბაქოს ქუჩა, სახლი № 7.

---


## განცხადებანი

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. ზ. თოფურ'ას

**ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო შ ი,**

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

---

გამოვიდა და ისყიდება ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში და სხვა წიგნის მაღაზიებში ტფილისში

**НАРОДНАЯ МЕДИЦИНА**
въ Закавказскомъ краѣ, ა. იაშვილისა.
ფასი 70 კაპ.
(2—141—2).

---



ვერცხლისა



ოქროსი


ტფილ. გამოფენა.




**ქარხანა**

ზეთიანის საღებავებისა (კრასკებისა)

**ა. ა. თ უ თ ა ე ვ ი ს ა**

თხუთმეტ ამ თვის ივლისიდამ შემოკვეთით ვამზადებ რკინის სახურავებისთვის და იატაკებისთვის (ДЛЯ ПОЛОВЪ) ყველა ნაირს ფერს ზეთით გაღესილს საღებავებს (краски). ვპირდები ყველას ჩემ ნამდვილს და უცნობს, რომ საღებავები იქნება უტყუარი და მაღალის ღირსების მასალით შეზავებული *), «ბელილა» და სხვა საღებავებიც გვექნება დამზადებული; ვინც მოისურვებს, ხელოსნებსაც გაუგზავნი, როგორც ტფილისში ისე სხვა ადგილს. მე თითონაც დაუხედამ საქმეს, თუ საჭირო იქნება. აგრეთვე ვიღებ სახლების აშენებას, მყავს ყველანაირი ხელოსნები, ეკკლესიის სახურავებისთვის სამღვდელოებას დაუთმობ პრეისკურანტის ფასებზედ ფუთი მანეთ ნაკლებ, საქონელი ფასდადებითაც გაიგზავნება 50% ბეის მიღებით. ჩემი ადრესი: ტფილისს, ადგილი თუთაევი, ელისაბედის ქუჩა, დიდუბეში, საკუთარ სახლებში.

*) რადგანაც საღებავები ძნელი საცნობია და წასმის შემდეგ მალე ფუჭდება, ამისათვის მაღლის ღირსების მასალით შეზავებული საღებავი ერთი ხუთად მეტს გასძლებს. (20—19)

---

ვისაც კი გსურთ აიცილოთ გაქურდვა და დამშვიდებული იყვეთ **იყიდეთ**, მარტო 4 მან. 90 კაპ., საოუდამო, უკეთესად შემუშავებული ავტომატიური ხმაურობის გამომწვეველი აპარატი „**ენდოლიანსი**“, მოწონებული ფინანსთა სამინისტროს მიერ № 13,884.

შეგიძლიანთ დაჰკეტოთ ყოველ გვარი სადგომი და საწყობი, ისინიც კი, რომლებიც იმყოფებიან თქვენგან მოშორებით. შეგიძლიანთ აგრეთვე წახვიდეთ სადმე დულ-გამშვიდებული, რომ არ გეშინოდეთ ქურდებისა. „**ენდოლიანსი**“ ანიშნებს როგორც შიგნით, ისე გარეთ მყოფთაც. რაწამს დაუპატიჟებელი სტუმარი შეხება კარებს, ფანჯარას ანუ კარებს გასაღებად, აპარატი „**ენდოლიანსი**“, გარედგან შეუმჩნეველი, გამოიწვევს საშინელ ხმაურობას, მარტო თოფის წამლის აფეთქებით, საშიში არ არის. ხმაურობა ისმის სადგომის შიგნითაც და გარეთაც და აგრეთვე შორ მანძილზედაც. თუ სადგომის პატარა ზარს შეაერთებთ აპარატთან, მაშინ აპარატის ხმაურობასთან ერთად ზარი დაიწყებს წკარუნს, რომელ სადგომშიაც უნდა იყოს, და არ შეჩერდება ვიდრე სახლის პატრონთაგანი ვინმე არ შეაჩერებს.

„**ენდოლიანსი**“ საჭიროა საყდრებისა, სახლებისა აგარაკებში, მაღაზიებისა, ბეღლებისა, ჩარდახებისა, სარდაფებისა, მარნებისა, თავლებისა და სხვა სადგომების გაქურდვისაგან დასაცველად. როგორ ადგილშიაც უნდა იყოს სადგომი, სულ ერთია. ეს აპარატი მაგარი ნამუშავარია და ყველას ადვილად შეუძლიან იხმაროს.

ფასი გაგზავნით: ნიკელ გადაკრული აპარატი ჰყირს 4 მან. 90 კაპ., შევერცხლილი—5 მან. 60 კაპ.; ფასს დაუდებით 10 კაპეიკით მეტი ჰღირს, აზიის რუსეთში კი 30 კაპეიკით მეტი. ვინც ციმბირში გაიწერს, უნდა გამოგზავნოს 2 მან. ბეთ. შეიძლება ფოშტის მარკებით.

მსურველთ მოითხოვონ ამ ადრესით: Т-во „Эндолянъ“. Варшава, Милая 37/105.

**ბ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ ი ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ა.**
(5—6—)


---

## ბ ა ლ ა ნ ს ი ტ ფ ი ლ ი ს ი ს ს ა მ ე უ რ ნ ე ო ბ ა ნ კ ი ს ა

1 სეკდემბრისათვის 1904 წლისა.

**ა ქ ტ ი ვ ი.**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. კასა (ქაღალ. და ოქრო-ვერცხლის ფული). | 30658 | 93 |
| II. მიმდინარე ანგარიშები: კერძო საკრ დაწესებ. | 300 | 24 |
| III. პირობა ვადეპული მიმდინარე ანგარიში სახელმწ. ბანკის ტფილისის განყოფ. . | 1019 | 24 |
| IV. სარგებლიანი ქაღალდები, საზოგადოების საკუთვნონი: ა) უზრუნველ-ყოფილნი: . 1591—76; ბ) არა-უზრუნველ-ყოფილნი 8379—50 | 9971 | 26 |
| V. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხ-ს საკუთვნონი . . . . | 8567 | 24 |
| VI. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცზე არა ნაკლებს უწერია ხელი | 285057 | — |
| VII. სოლო-ვექსილით გაცემული სესხი, უზრუნველ-ყოფილი სოფლის უძრავის მამულით. . . . . . . | 500 | — |
| VIII. პროტესტ-ქმნილი ვექსილები. . . | 11335 | — |
| IX. განაღდება ვადიანი ქაღალდებისა, კუპ. და სხვ. . . . . . . . | 420 | 90 |
| X. გირაოთი გაცემული სესხი: ა) სახელმწიფოს ან მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ ფას. ქაღალ. . 21307-00; ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღ. 59206—00; გ) საქონელზედ . . . 23259—50; დ) სასოფლო-სამეურნეო ნაწარ. 8579—00 | 112351 | 50 |
| XI. გარდახდილი პროცენტები . . | 11773 | 37 |
| XII. %%კუპ., %%ქაღ. სათ. თანხ. საკუთ. | 1 | 64 |
| XIII. დასაბრუნებელი ხარჯი . . . | 220 | 21 |
| XIV. მოწყობა და მომართვა . . . | 2108 | 64 |
| XV. კორესპონდენტები: ა) იმათის ანგარიშით (loro) 93173—93; ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) 40891—64 | 134065 | 57 |
| XVI. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღ. | 235 | 85 |
| XVII. სხვა-და-სხვა დებიტორები . . . | 459 | 17 |
| XVIII. მიმდინარე ხარჯები . . . | 12347 | 51 |
| ბალანსი | 621393 | 03 |

**პ ა ს ი ვ ი.**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 794 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულის 10%-გან. | 88981 | — |
| II. სათადარიგო თანხა: . . . | 9386 | 38 |
| III. შემოტანილი თანხა: ა) მიმდინარე ანგარიშით . 121881—83; ბ) ვადით . . . 149903—33; გ) უვადოთ . . 2850—00 | 274635 | 16 |
| IV. გარდამავალი თანხა . . . . | 1601 | 62 |
| V. გარდასახდელი სარგებელი . . . | 2260 | 47 |
| VI. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა . . . | 1 | 98 |
| VII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ მოთხოვნილი საზოგად. წესდ. მე-12 და-13 §§ ის თანახმად . . . | 806 | — |
| VIII. გასაგზავნათ მიღებული თანხა . | — | — |
| IX. კორესპონდენტები: ა) იმათის ანგარიშით (loro) 43809—27; ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) 71472—55 | 115281 | 82 |
| X. სპეციალ. მიმდინარე ანგარიში სახელმ. ბანკის ტფლისის განყოფ. , . | 30000 | — |
| XI. გადაგირავებული ვექსილები: ტფილ. სახ ბანკის განყოფილებაში . 39700—00; სხვა ბანკებში . . . 27920—00 | 67620 | — |
| XII. წაუღებელი დივიდენდი წარსულ წლ. | 2853 | 54 |
| XIII. მიღებული სარგებელი . . . | 25952 | 25 |
| XIV. 1903 წლის წაუღებელი დივიდენდი. . | 1946 | 84 |
| XV. მოგება და ზარალი 1904 წლისა , . | 40 | — |
| XVI. განუყოფელი დარჩენილი ფული 1903 წ. | 25 | 97 |
| ბალანსი. | 621393 | 03 |
| პასუხის-მგებლობა 764 წევრისა 10%-იან შემოსატან გარდა . . . . | 800829 | — |
| საზოგადოებას აქვს შესანახად გარდაცემული ქონება . . . . . . | 5700 | — |
| თამასუქები საკომისიოდ. . . . . | 8117 | 58 |

Дозволено цензурою. Тифлисъ 16 сентября, 1904 г. Тип. Е. И. Хеладзе, Русск. базаръ, домъ арм. семинаріи